თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 6

18. 06. 2020 წ.

ქ.თელავი

**თავმჯდომარეობდა:** სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი**

**ესწრებოდნენ** კომისიის წევრები: **ტიტე დარეჯანიშვილი, დავით ღაღანიძე, მაია მარკოზაშვილი, ლევან კოჭლოშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, არჩილი თვალიაშვილი.**

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **მედეა ჩაფურიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი **ლევანი ზერძენაშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - მწვანეები''- ს თავმჯდომარე **გიორგი ჩაბრაშვილი.**

<u>**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი**</u>

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,თელავის სატრანსპორტო სამსახური''-ს დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

   მომხს. ნ. ხვისტანი

2. ქალაქ თელავის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმის, განაშენიანების გეგმის და ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხს. ნ. ხვისტანი

**მოისმინეს:1.** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თელავის სატრანსპორტო სამსახური"-ს დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის თაობაზე.

**აზრი გამოთქვეს:** **ნანა ხვისტანმა** და **ლევან კოჭლოშვილმა** აღნიშნეს რომ წარმოდგენილი პროექტი, საჭიროებს დაზუსტებას, კერძოდ რაზე დაყრდნობით მიიღო გადაწყვეტილება აღმასრულებელმა ორგანომ, ააიპ-ის შექმნის თაობაზე, განახორციელა თუ არა კვლევა ორგანიზაციის შესაძლო ხარჯის და შემოსავლების შესახებ, რა ეკონომიკურ გათვლებზეა დაყრდნობილი მერის გადაწყვეტილება, განსაზღვრულია თუ არა საგზაო მარშრუტები, მგზავრთა რაოდენობა და ა.შ.

**მედეა ჩაფურიშვილმა** კომისიის წევრებს გააცნო წინადადება მერის მიმართ რეკომენდაციის მომზადების შესახებ. როგორც მან აღნიშნა რეკომენდაციის მიხედვით სასურველია განისაზღვროს რომელი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა მიზანშეწონილი მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო ორგანიზაციის შექმნისათვის.

**გადაწყვიტეს:** მომზადდეს რეკომენდაცია და საკითხის მომზადებამდე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თელავის სატრანსპორტო სამსახური"-ს დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ პროექტის განხილვის საკითხი , ამოღებულ იქნას დღის წესრიგიდან.

**მოისმინეს:** 2. ქალაქ თელავის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმის, განაშენიანების გეგმის და ქალაქ თელავის ცენტრალური მოედნის განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის განხილვის შესახებ.

**აზრი გამოთქვეს:** **ნანა ხვისტანმა** აღნიშნა რომ არსებული კანონმდებლობის შესაბამისად საჭიროა ადმინისტრაციული წარმოების დაწყება და თვითმართველობის კოდექსის შესაბამისად სამართლებრივი

კონსულტაციის მიზნით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში პროექტის გაგზავნა .

გადაწყვიტეს: განხორციელდეს ყველა პროცედურა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით და კომისიის გადაწყვეტილება წარედგინოს ბიუროს სხდომას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის თავმჯდომარე: ნ ნანა ხვისტანი